შეთანხმების აქტი

შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებასთან დაკავშირებით

ქ. ქუთაისი

8 ოქტომბერი 2020 წელი

1. ზოგადი დებულებანი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „დამსაქმებელი“) წარმოდგენილი მისი რექტორის **ლაშა კანდელაკიშვილის** სახით და მეორე მხრივ დასაქმებული **ანა ყიფიანი** პირადი № 60002015137 (შემდგომში „დასაქმებული) შემდგომში „ხელშეკრულების მხარეები“ ვდებთ შეთანხმების აქტს „ხელშეკრულების მხარეებს“ შორის არსებული შრომითი ურთიერთობის პირობების მოდიფიცირების მიზნით შემდეგზე:

2. შეთანხმების საგანი:

ხელშეკრულების მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-6 მუხლის (შრომის ანაზღაურება) პირველ პუნქტში და მე-7 მუხლის (სამუშაო დრო და დასვენების დრო) პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. სამუშაო დრო და დასვენების დრო

სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში არაუმეტეს 40 საათისა.

4. შრომის ანაზღაურება

დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება თვეში 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდეს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან; შეთანხმების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და დაერთვის მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე აქტზე შეთანხმების დასადასტურებლად ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

ქუთაისის უნივერსიტეტის
რექტორი
ლაშა კანდელაკიშვილი

_____

დასაქმებული

_____